ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5170859

ნომერი: AR1785070

თარიღი : 31.10.2020

გაცემის თარიღი : 03.12.2020

გაცნობის თარიღი : 03.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბანო , N 2 , (ნაკვ. 63/002) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აბანო , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გამყრელიძე პ/ნ 01009016937
- თბილისი. ზ. ფალიაშვილის ქ 39 ბ19

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: აბანო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი გამყრელიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "ჭრელი აბანო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204543299
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეიმურაზ მამაცაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030036274

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4999897
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.07.2020

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 2020 წლის 02 ივლისის № 4999897 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე
სამუშაოების სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2020 წლის 02 ივლისის № 4999897 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი - კრწანისი), აბანოს ქ. N2 (ნაკვ. 63/002)-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროექტი; გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაშია 2020 წლის 2 ივლისიდან 2020 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით;

2020 წლის 31 ოქტომბრის N AR1785070 განცხადებით მოგვმართა მოქ. ირაკლი გამყრელიძემ (09.06.2020 წლის მინდობილობა), რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 02 ივლისის № 4999897 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 02 ივლისის № 4999897 ბრძანებასა და სანებართვო მოწმობაში კერძოდ, ჩანაწერი ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 2 ივლისიდან 2020 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით" შეიცვალოს ჩანაწერით ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 03 დეკემბრიდან 2021 წლის 03 აპრილის ჩათვლით“.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 02 ივლისის № 4999897 ბრძანებასთან ერთად.

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.